სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №5

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 29 მაისს 11:00 საათზე საკრებულოს წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ქვორუმი ვერ შედგა. კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 მაისის ბრძანების N№41.4124150001 საფუძველზე 2024 წლის 29 მაისის სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დაწყების დრო განისაზღვრა 12:40 სთ.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 30 მაისს სხდომა დაიწყო 12:40 სთ-ზე, დამთავრდა 13:40 სთ-ზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ირაკლი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიგა წურწუმია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - შაქრო კოკაია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელიზბარი ოდიშარია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - კაპიტონი ტორჩინავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ყურაშვილი; საკრებულოს წევრები: მარინე ნანეიშვილი; ირაკლი ცხვიტავა; ბადრი შარტავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: დ. ალანია; მ. ჯანაშია; ბ. მამულია; გ. რობაქიძე; შპს ,,სენაკის სამშობიარო სახლის“ დირექტორი: კ. ვახანია. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე; აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

„1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2 სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბადრი კალანდარიშვილი

3. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

4 „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

5. შ.პ.ს. „სენაკის სამშობიარო სახლი”-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ი. ქარდავა

6. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

7. სენაკის მუნიციაპლიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლის მეურნეობის კუთხით) მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

8. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია“

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა** :

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

„1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2 სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბადრი კალანდარიშვილი

3. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

4. „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

5. შ.პ.ს. „სენაკის სამშობიარო სახლი”-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ი. ქარდავა

6. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

7. სენაკის მუნიციაპლიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლის მეურნეობის კუთხით) მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

8. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბადრი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე".

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დანართის შესაბამისად.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად.
3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 3. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

აზრი გამოთქვეს: ი. ქარდავამ, ს. ოდიშარიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1.

,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge, 15 /03/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.108.016298) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლს დაემატოს ,,ვ [1] "ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ[1]) უზრუნველყოს „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლს დაემატოს „ე[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე[1]) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 4. „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 16/11/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.108.016331) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას დაემატოს 16[1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ **მუხლი 16[1]. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი**

1. მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობისა და მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობას უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (შემდგომ - ოფიცერი), რომელიც ექვემდებარება უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერს, საკუთარ საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონმდებლობით.

2. ოფიცრის მიზანია უზრუნველყოს მერიის საქმიანობისა და მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან.

3. ოფიცრის ფუნქციებია:

ა) მუნიციპალიტეტის მერიაში მონაცემთა დამუშავების პროცესის კონტროლი;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასებაში მონაწილეობა;

გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობა;

დ) მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა ინფორმირება მონაცემთა დამუშავების პროცესში მათი მოვალეობების შესახებ და საჭიროებისამებრ, მონაცემთა დაცვის საკითხებზე მათი გადამზადების უზრუნველყოფა;

ე) მონაცემთა სუბიექტის განცხადებებისა და/ან საჩივრების განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

ვ) მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე კონსულტაციის გაწევა და საჭიროების შემთხვევაში, მათი მხარდაჭერა სავალდებულო დოკუმენტაციის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში;

ზ) ფაილური სისტემის კატალოგების წარმოება;

თ) პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტების გამოვლენა, შესწავლა და სათანადო რეაგირება.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 5. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი”-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ი. ქარდავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი”-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“.

აზრი გამოთქვეს: ი. ქარდავამ, ზ. ნაჭყებიამ, ს. ოდიშარიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლის“ 2023 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 6. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“.

აზრი გამოთქვეს: მ. გვიჩიამ, გ. რობაქიძემ, ბ. ხურციამ, ს. ოდიშარიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის" მიერ სასაფლაოების მოვლა -პატრონობის მიმართულებით წარმოდგენილი 2023 წლის ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 7. სენაკის მუნიციაპლიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლის მეურნეობის კუთხით) მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „სენაკის მუნიციაპლიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლის მეურნეობის კუთხით) მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე".

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერირორიაზე (სოფლის მეურნეობის კუთხით) მცენარეთა და ცხოველთა დავადების წინააღმდეგ წარმოდგენილი 2023 წლის ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 8. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ".

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მე-14 ქუჩის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის შესაბამისად.
2. განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში რეაგირებისათვის გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერზე, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში.
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ.№247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია